<u>დანართი №1</u>

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას სრული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის – არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის – არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სრული პროფესორი - თვეში 1000 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 800 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 600 ლარი.

2. წინამდებარე დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრულ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სრული პროფესორი - თვეში 130 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 110 ლარი;
გ) ასისტენტ პროფესორი - თვეში 90 ლარი.

3. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის დანამატი, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (სრული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6-საათიანი სავალდებულო ყოველკვირეული სააუდიტორიო დატვირთვა, ასოცირებული პროფესორისათვის – არანაკლებ სავალდებულო 8-საათიანი ყოველკვირეული სააუდიტორიო დატვირთვა, ასისტენტ პროფესორისათვის – არანაკლებ სავალდებულო 10-საათიანი ყოველკვირეული სააუდიტორიო დატვირთვა) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სრული პროფესორი - თვეში 290 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 250 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 210 ლარი.